



დასკვნა

საქართველოს კანონის პროექტზე

„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის
შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის
თაობაზე

(გადამუშავებული ვარიანტი)

დასკვნა „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე” საქართველოს კანონის პროექტზე (გადამუშავებული ვარიანტი)

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 188-ე მუხლის შესაბამისად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მოამზადა დასკვნა „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ.

მთავრობის პასუხისმგებლობა „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 40-ე მუხლის შესაბამისად, საქართველოს მთავრობა პასუხისმგებელია „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტის, თანდართული მასალებისა და განახლებული საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური და ფისკალური პროგნოზების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია მოამზადოს დასკვნა „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული შემოსულობებისა და გადასახდელების საფუძვლიანობისა და კანონიერების შესახებ. დასკვნის მომზადება ემყარება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებულ შემოწმების პროცედურებს, რომლებიც წარიმართება მარწმუნებელი გარიგებების საერთაშორისო სტანდარტის 3400 „პერსპექტიული ფინანსური ინფორმაციის შემოწმება“ (ISAE 3400) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტი ითვალისწინებს შემოწმების დაგეგმვასა და წარმართვას იმგვარად, რომ მიღებულ იქნას საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები იმის შესახებ:

- უზრუნველყოფენ თუ არა ის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური და სხვა დამკვეთები, რომლებსაც ბიუჯეტის ცვლილების კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია ეყრდნობა, აღნიშნული ინფორმაციის სათანადო საფუძველს;

- არის თუ არა ბიუჯეტის ცვლილების კანონპროექტით წარმოდგენილი ფინანსური ინფორმაცია სათანადოდ მომზადებული არსებული დაშვებების საფუძველზე და საფუძვლიანი და კანონიერი მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით;
- არის თუ არა ბიუჯეტის ცვლილების კანონპროექტით წარმოდგენილი ინფორმაცია სათანადოდ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების არსებული პრინციპების შესაბამისად, ხოლო ყველა არსებითი დაშვება ადეკვატურად განმარტებული თანდართულ მასალებში.

ჩატარებული შემოწმების პროცედურები შეირჩევა აუდიტორის პროფესიულ განსჯაზე დაყრდნობით. საყურადღებოა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა არ ითვალისწინებს „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტით გათვალისწინებული გადასახდელების განაწილების შესახებ მთავრობის დისკრეციული გადაწყვეტილებების შეფასებას.

დასკვნა

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა „2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ კანონის პროექტის გადამუშავებული ვარიანტი და ბიუჯეტის კანონის ცვლილების პროექტის პირველად ვარიანტზე გაცემული რეკომენდაციების გათვალისწინების დოკუმენტი (შემდგომში - დოკუმენტი).

აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, სამინისტრომ გაითვალისწინა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რიგი რეკომენდაციებისა. საყურადღებოა შემდეგი საკითხები:

- გათვალისწინებული იქნა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ **სახელმწიფო ვალთან** დაკავშირებული რეკომენდაცია და წარმოდგენილი კანონპროექტით განსაზღვრულ სახელმწიფო ვალის ნაშთში აისახა საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან (IMF) მისაღები საქართველოს ეროვნული ბანკის ვალი, ჯამურად 211.7 მლნ ლარი. შედეგად, სახელმწიფო ვალის ზღვრული მოცულობა 2017 წლის ბოლოსათვის 16.3 მლრდ ლარის ოდენობით განისაზღვრა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) საპროგნოზო მაჩვენებლის 43.5%-ს შეადგენს, თუმცა განმარტებით ბარათში აღნიშნული მაჩვენებელი ცვლილების პროექტის პირველადი ვერსიის ნიშნულზეა განსაზღვრული - 42.9%-ის ოდენობით;
- ცვლილების პროექტის გადამუშავებული ვარიანტით პირველადი ვერსიის მსგავსად, მცირდება **3 საინვესტიციო პროექტის¹** დაფინანსება, რომლებიც მიმდინარე მდგომარეობით ათვისების დაბალი მაჩვენებლით ხასიათდებიან. ამ კუთხით, მნიშვნელოვანია, მხედველობაში იქნეს მიღებული სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია, რომ საინვესტიციო პროექტებისათვის არ ხდებოდეს ბიუჯეტის კანონით განსაზღვრული წლიური გეგმების შემცირება მათზე გამოყოფილი საკრედიტო რესურსის დაბალი ათვისების ტენდენციიდან გამომდინარე, რათა ანგარიშგების ეტაპზე მოხდეს აუთვისებლობის გამომწვევი მიზეზების წარმოდგენა და ანალიზი, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნება მომავალი პერიოდის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში წარსული გამოცდილების გათვალისწინება;
- **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების** ფონდის გეგმური მაჩვენებელი ცვლილების პროექტის პირველადი ვარიანტით 24 მლნ ლარით იზრდებოდა. წარმოდგენილი ვერსიით კი იგი 14 მლნ ლარით მატულობს და 274 მლნ ლარს უტოლდება. სახელმწიფო აუდიტის

¹ „ქუთაისის მყარი ნარჩენების ინტეგრირებული მართვის პროექტის“ დაფინანსება მცირდება 2.9 მლნ ლარის ოდენობით; „ქვემო ქართლის ნარჩენების მართვის პროექტი“ და „აგროკრედიტი“ უქმდება 2017 წლის ბიუჯეტში.

სამსახურის შეფასებით, მიმდინარე მდგომარეობით ფონდიდან ათვისებული რესურსის დაბალი ოდენობისა (2017 წლის 10 თვის მდგომარეობით, ფონდიდან ათვისებული იყო 138 მლნ ლარი, რაც თავდაპირველი გეგმის მხოლოდ 53%-ს შეადგენს) და ფისკალური წლის ბოლოს საბიუჯეტო სახსრების დაჩქარებულ რეჟიმში ათვისების პრაქტიკიდან გამომდინარე, დამატებით განმარტებას საჭიროებს კონკრეტულად რომელი პროექტების დასაფინანსებად ხდება ფონდის რესურსის ზრდა;

- წარმოდგენილი კანონის ცვლილების პროექტი ითვალისწინებს ცალკეული პროგრამების/ქვეპროგრამების წლიური გეგმის მოცულობის დაკორექტირებას, როგორც შემცირების, ასევე ზრდის მიმართულებით. სამინისტროს ინფორმაციით, სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიურ ანგარიშში ასახული იქნება შესაბამისი განმარტებები თავდაპირველ პროგნოზებსა და ფაქტიურ შედეგებს შორის არსებულ სხვაობებზე.

მნიშვნელოვანია, ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის **პროგრამული დანართი** შეიცავდეს დამატებით ინფორმაციას ყველა იმ პროგრამის/ქვეპროგრამის შესრულების მდგომარეობის შესახებ, რომლებსაც წარმოდგენილი პროექტით დაუკორექტირდათ წლიური გეგმები, რისი საშუალებითაც შესაძლებელი იქნება ფინანსურ და არაფინანსურ ინფორმაციას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის დადგენა და პროგრამების/ქვეპროგრამების ეფექტიანობის შეფასება.